MES 2 21 0000285667

25/03/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.03.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:18 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

3. ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კველვების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

4. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

5. ელენე ჟურავლიოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

6. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7.ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

8. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

10. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშრისო ურთიერთობების ხელმძღანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

11. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

12. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;

13. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

14. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

15. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

16. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

17. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზედამსწრეპირები

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

2	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III, IV
2	ირაკლი გაბისონია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი	I, II
3	მარიამ ჯიქია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ ხელმძღვანელი	I, II
4	ვახტანგ ზაალიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ ხელმძღვანელი	I, II
5	ციალა გლოველი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ ხელმძღვანელი	I, II
6	ქეთევან ჯინჭარაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ ხელმძღვანელი	I, II
7	ვახტანგ ჟვანია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასისტენტი	I, II
8	ნანული დანელია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის	I, II, III, IV

			ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	
9	თამარ ლომინაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	III, IV
10	ქეთევან კოტეტიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV
11	აკაკი გიგინეიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის უფროსი	III, IV
12	თამარ ბჟალავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო ფიზიკა“ ხელმძღვანელი	III, IV
13	ლევან ჩხარტიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო ფიზიკა“ ხელმძღვანელი	III, IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონული საშუალებითმონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ლევან მოსახლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	გიორგი ამირანაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	თამაზ ბიჭიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
6	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
7	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანმა

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4

პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბრის, N 450 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 77, თბილისი VI კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბრის, N 451 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 77, თბილისი VI კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან განიხილებოდა ერთი დაწესებულების სამართლის სხვადასხვა საფეხურის პროგრამები, ერთი და იმავე ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უმჯობესი იქნებოდა მათი ერთად განხილვა.

პირველიდა მეორე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ ,,სამართლის“ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა 4 რეკომენდაცია და 7 რჩევა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვას ლიტერატურის განახლებისა და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით.
ექსპერტის განმარტებით, დასკვნაში გადმოცემულია ერთი რეკომენდაციის სახით, თუმცა აღწერით ნაწილში კონკრეტული სასწავლო კურსების ჩამონათვალიც არის მითითებული. პერსონალის აკადემიური თავისუფლების დაცვის მიზნით, ლიტერატურასა და ნორმატიულ აქტებზე მოსაზრებები გაწერილია, როგორც რჩევების, ასევე რეკომენდაციების ნაწილში. პირველი რეკომენდაცია უშუალოდ ეხებოდა შრომის სამართლის კურსს, რომელშიც მკაფიოდ უნდა განსაზღვრულიყო კონკრეტული ნორმატიული აქტები, ანალოგიური რეკომენდაცია ეხებოდა კრიმინოლოგიის, დაზღვევის სამართალის, სამოქალაქო პროცესის და სამოქალაქო საპროცესო სამართლის სასწავლო კურსების სილაბუსებსაც. შესაბამისად ხუთ სასწავლო კურსთან დაკაშირებით გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია, დანარჩენი მოსაზრებები კი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით მოხვდა რჩევების კატეგორიაში.
მეორე რეკომენდაცია გაიცა იგივე 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით: მიზანშეწონილია, სასწავლოკურსის „დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები“ სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები. დაწესებულება ექსპერტის განმარტებით, დასკვნის ნაწილშიც დაეთანხმა და გაიზიარა ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია.
რეკომედირებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში დაზუსტდეს პრაქტიკის გამვლელ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში სტუდენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის.
ექსპერტის განმარტებით, ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გაცემა გამომდინარეობდა სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნიდან, რაც გულისხმობს, რომ ყველა

მემორანდუმსა და ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია სტუდენტების გარე პრაქტიკის განხორციელების მიზნით, უნდა იყოს მითითებული მათი რაოდენობა, ხოლო პროგრამები, რომლებშიც გარე პრაქტიკა არ არის გათვალისწინებული, გადატანილია რჩევების სახით.
4.4 სტანდარტთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი რეკომენდაცია:
რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა.
ექსპერტის განმარტებით, საკანონდმებლო მაცნე არის ერთ-ერთი ნორმატიული ბაზა, იმისათვის რომ წვდომა გვქონდეს კანონქვემდებარე აქტების, კოდიფიცირებულ ანუ სრულ ვერსიაზე, საჭიროა შევიყვანოთ მომხმარებლის სახელი და პაროლი, რაც მხოლოდ შეძენილი (ფასიანი) ვერსიით არის შესაძლებელი. იმის მიუხედავად, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს ბევრი აღნიშნული ვერსია აქვს შეძენილი, ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუებზე გამოიკვეთა რომ, სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე, ზოგი სტუდენტი ვერ სარგებლობს ფასიანი ვერსიით. აუცილებელია დაწესებულებამ ჩართოს ავტორიზებული მომხარებელებისის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ.
დაწესებულების წარმომდგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია არის სასარგებლო და აუცილებლად გასათვალისწინებელი. მისი თქმით, წარმოდგენილი ფაკულტეტი პროფესორ ირაკლი გაბისონიას ხელმძღვანელობით წარმოადგენს ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება ფაკულტეტმა ყოველწიურად წინ გადადგას ნაბიჯები, როგორც საგანმანათლებლო მიმართულებით, ისე სამეცნიერო რეპუტაციებისა თუ მოთხოვნების გაზრდის კუთხით, რაც სააკრედიტაციო მასალებში ზედმიწევნით იყო წარმოდგენილი. პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით, მან აღნიშნა რომ ტექნიკური უნივერსიტეტის 12 ფაკულტეტის ფარგლებში, აღნიშნული ფაკულტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ სანიმუშო მაგალითს, რომელიც დაახლოებით სამ კვირაში ერთხელ მოხსენებითი ბარათით წარსდგება რექტორის წინაშე, რაც შემდეგ იგზავნება ხარისხის სამსახურში. თავად ფაკულტეტი უზრუნველყოფს გარკვეული სახის სახელმძღვანელოების შექმნას კვლევაზე დაფუძნებული კვლევითი პროექტების ფარგლებში, აკადემიური დეპარტამენტების საბჭოს დონეზე განხილვის შემდეგ მოდის კონკრეტული რეკომენდაციები რომ სახელმძღვანელოები სავალდებულო ან დამხმარე სტატუსით იქნას ასახული სასწავლო კურსის სილაბუსებში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს განახლების პროცესი მუდმივად მიმდინარეობას, გარდა ამისა ნებისმიერ ახალ სახელმძღვანელოზე ფაკულტეტი აყენებს მოთხოვნას მისი შესყიდვის შესახებ. ასევე მოწოდებული არის ხოლმე ინფორმაცია კონკრეტულ წელს, რა თანხა იყო გამოყოფილი და დახარჯული ამ მიმართულებით. ზემოაღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე, დაწესებულება თვლის რომ აკმაყოფილებს ამ ნაწილს და ბაკალავრიატის სტუდენტები სარგებლობენ ახალი სახელმძღვანელოებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაცია ინსტიტუციამ გაიზიარა და ეს ეს მოთხოვნა დარგობრივი მახასიათებლიდანაც გამომდინარეობს. ფაკულტეტს გაფორმებული აქვს ათეულობით კონტრაქტი, კონკრეტულ მემორანდუმებში არ არის ასახული სტუდენტების რაოდენობა, თუმცა უმრავლესობაში არის გათვალისწინებული. პროგრამას 40-ზე მეტი კერძო და საჯარო სექტორში ფუნქციონირებად ორგანიზაციასთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება. დაწესებულებამ მზაობა გამოთქვა ამ მიმართულებითაც ყურადღების გამახვილებაზე.
ბაზებთან წვდომის შესაძლებლობაზე, დაწესებულების წარმომადგნლის განმარტებით, ექსპერტმა ობიექტურად შენიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს user-ების საკმარისი რაოდებობა და აღნიშნულში საკმაოდ დიდი თანხაა გადახდილი, ასევე, 3 წლის განმავლობაში ფაკულტეტს ბიუჯეტში გათვალისწინებულია წიგნების შესაძენად და ბიბლიოთეკის განსაახლებლად 160

ათას ლარზე მეტი. პროგრამაში და სახელმძღვალოების მონოგრაფიებით, დამხმარე სახელმღანელოების გასაახლებლად და ახლის შესაქმნელად 3 მილიონ 130 ათას ლარზე მეტი. დაწესებულების წარმომადგნელის განმარტებით შეიქმნა ახალი მიმართულებები შეიქმნა როგორიცაა საპროკურორო სამართალი, საგამოძიებო სამართალი, კიბერდანაშაულის გამოძიების ტექნიკა და მეთოდიკა. მათ დაიწყეს ახალი დარგის საინჟინრო სამართლის შექმნა. არატრადიციული სამართლის დარგები - ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სამშენებლო სამართალი. მისი თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტში 70 ათასი ლარია გათვალისწინებულია სწორედ ამ მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ შეკითხვები განსახილველ პროგრამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა რომ პროგრამის მასალების დამატებით დოკუმენტაციაში აღმოაჩინა საკმაოდ კარგი დოკუმენტი, რაც ძალიან იშვიათად ხდება, ეს არის მესამე პირის მიერ პროგრამის შეფასება, გარე პირის ანუ ე.წ კოლეგიალური შეფასება, რაც მისასალმებლად მიირჩნია. მისი განმარტებით დაწესებულებამ წარმოადგინა ორი გარე შეფასება, ერთი იყო საბაუნის და მეორე საიას ანუ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის. საბაუნის დასკვნაში მოცემულია საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია და რჩევა, ის დაინტერესდა რამდენად გამოადგა აღნიშნული რჩევები და რეკომენდაციები დაწესებულებას და რამდენად გაითვალისწინა ისინი ინსტიტუციამ რეაკრედიტაციის პროცესში, პროგრამის განვითარებაზე მუშაობის დროს.

შემდეგი შეკითხვა გაჭღერდა, საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის მხრიდან საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით, კერძოდ როგორ ხდება საბაკალავრო ნაშრომების შერჩევა, როგორ არის პროცედურულად გაწერილი. ის ასევე დაინტერესდა, ნახეს თუ არა ექპსერტთა ჯგუფის წევრებმა საბაკალავრო ნაშრომები, გაეცნენ თუ არა თემატიკებს და რამდენად კმაყოფილები არიან ხარისხითა და შეფასებებით. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა პრაქტიკული სამართლის კლინიკით, მისი თქმით სილაბუსიდან გამომიდნარე რჩება შთაბეჭდილება რომ ეს არის ზოგადი სამართლის პრაქტიკა და არა რომელიმე კონკრეტული მიმართულების: სისხლის, სამოქალაქო, საჯარო ან კონსტიტუციური. მან დაწესებულებას სთხოვა განემარტა სწორად დარჩა თუ არა მსგავსი შთაბეჭდილება და თუ ამახვილებდენ ისინი ჩაღმავებულად ყურადღებას რომელიმე ზემოაღნიშნული მიმართლების მხრივ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ გააჟღერა კითხვა შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტთან დაკავშირებით. მისი თქმით დოკუმენტს სათაურად აქვს კვლევის ზოგიერთი ასქპეტი, რაც ცოტა გადაჭარბებულია, რადგან დოკუმენტში მხოლოდ ერთი ასპექტია ძირითადად წარმოდგენილი. ის დაინტერესდა რამდენად ვალიდურია ეს კვლევა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰყავს ძლიერი ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტები და შესწევს უნარი ყველა მიმართულებით ჩაატაროს ნორმალური შრომის ბაზრის კვლევა.

ასევე, საბჭოს წევრის განმარტებით, ეჭვი არ ჩნდება ფაკულტეტის მდგრადობასთან დაკაშირებით, თუმცა საერთოდ არ ჩანს ეს მდგრადობა მაგისტრატურის არის თუ ბაკალავრიატის, ასევე არ ჩანს მაგისტრატურისთვის კვლევაზე გამოყოფილი თანხა, მისი თქმით თუ ეს ბიუჯეტში არ გამოჩნდა, შესაძლებელი იყო გაეკეთებინათ ცალკე გათვლები უშუალოდ პროგრამის ხარჯებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა ისეთი საკითხები რომლებიც სტანდარტის შეფასებისას მნიშვნელოვანია რატომ მოხვდა რეკომენდაციების ნაცვლად რჩევებში, განპირობებული ხომ არ იყო იმით რომ ინსტიტუციაში აღნიშნული მექანიზმები უკვე არსებობს და ოდნავ გაუმჯობესება სჭირდება, ასევე საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულებას, გაითვალისწინებდნენ თუ არა ისინი გაცემულ რჩევებს სამომავლოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვნა კითხვა 2.6 კომპონენტთან მიმართებით, დასკვნაში მითითებულია რჩევა: ''დაწესებულებამ უნდა უზრუბველყოს სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის მეტი მოქნილობა,ინტეგრირება და სტუდენტების

ინფორმირება''. მან სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ რას გულისხმობდნენ მექანიზმის მეტ მოქნილობაში.
მანვე გააჟღერა კითხვა 3.1 კომპონენტან მიმართებით, დასკვნაში მითითებულია, რომ ''ინტერნაციონალიზაციის მიმართულები დაწესებულებამ განსაზღვრა სტრატეგია''
და ამის დასტურად წარმოდგენილია 2018 წლის სტრატეგია და პოლიტიკა. საწყის ეტაპზე პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისურთან,ფრანგული,გერმანული რუსლი ენების კურსის შეასაბამისი დონეებით, თუმცა თვითონ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია სამოქმედო გეგმა ცალკე წარმოდგენილი არ არის, ის დაინტერესდა 2018 წელს აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა განიხილება თუ არა ასევე სამოქმედო გეგმად.
საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა რამ განაპირობა უცხო ენების ამგვარი მრავალფეროვნება და რა გახდა ამის საჭიროება. მან ასევე ყურადღება გაამახვილა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხარისხის შიდა მექამიზმების დოკუმენტზე, რომელშიც აპელირება მიმდინარეობს ,,ISO 9001"-ზე, ხარისხის მართვის სისტემებზე, 1.1 კომპონენტში მითითებულია, რომ მოხმარებელზე ორიენტაცია უნდა მოხდეს და მათი მიმდინარე და მომავალი მოთხოვნები არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი. ეს საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, პირდაპირ უკავშირდება შრომის ბაზრის კვლევას, რომელშიც ეს რეალურად არ არის ასახული. მისი თქმით გამოდის, რომ ერთის მხრივ ხარისხში და მექანიზმში წერია, 9001 ითხოვს, თუმცა შრომის ბაზრის კომპონენტში არ არის მითითებული სად ჩატარდა, რომელ ორგანიზაციებთან - კერძო თუ საჯარო, რამდენი გამოიკითხა, სად ჩატარდა და ა.შ
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ცდილობენ შრომის ბაზართან იყვნენ თავსებადები. სწავლის შედგების მექანმიზმს კიდევ უფრო აღრმავებენ და ავისწროვებენ, ცდილობენ ამ კუთხით განვითარდნენ და უკეთესები გახდნენ.
საბაუნის მიერ გაკეთებულ გარე შეფასებასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გაიცა ბევრი რეკომენდაცია და კიდევ უფრო მეტი რჩევა იყო და ფაქტობრივად ისინი მთლიანად იქნა გათვალისწინებული.მაგალითისთვის წინაპირობები საგნებში, პროფესორებთან ერთად განხილული და შეჯამებულია, ისიც გარკვეულადწილად გათვალისიწნებულად შეაფასა ინსტიტუციამ. უცხო ენის დონეებთან მიმართებით რჩევა ასევე გათვალისწინებულია. გარკვეული არჩევითი საგნები საკმაოდ მოცულობითი და დიდი საგნები იყო, რომელზეც შინაარსობრივ ნაწილში ურჩევდნენ დაწესებულებას რომ ესწავლებინათ საფუძვლები ბაკალავრიატის დონეზე, რომელიც ასევე გათვალისიწნებულია. ორივე ორგანიზაციის, საბაუნის და საიას გარე შეფასებები საკმაოდ გამოადგა დაწესებულებას პროგრამის ფორმირებისთვის. რაც შეეხება დასაქმებულებზე შრომის ბაზარს, მათი განმარტებით შრომის ბაზრის კვლევაში მოცემულია არის მხოლოდ ვებ - გვერდებზე მოცემული ინფორმაციის განხილვა. 2018 წლიდან არსებობს პროექტი ''შეხვდი დამსაქმებელს'', ამის ბმულები, ოქმები დევს ვებ - გვერდზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია ექსპერტებთანაც იყო მიწოდებული, ტარდებოდა ყოველკვირეული შეხვედრები პროკურატურის წარმომადგენლებთან, ადვოკატებთან, ნოტარიუსებთან, ყოველივე ეს ოქმდებოდა და ასახავდა თუ რა მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა სტუდენტს, როგორ კადრს ეძებენდნენ დამსაქმებლები და ამის მიხედვით რა პროგრამაში რა ცვლილებები უნდა ასახულიყო პროგრამაში. გარდა კონკრეტული დამსაქმებლებისა, პროგრამის განვითარების და თვითშეფასების ჯგუფი პერიოდულად ხვდება დამსაქმებელს, არსებობს ამის დამადასტურებელი ოქმებიც, სადაც მათი რეკომენდაციები თუ რჩევები ამ კუთხით გათვალისიწინებულ იქნა.
პროექტი ''შეხვდი დამსაქმებელს''დაწესებულებამ განმარტა, რომ დაიწყეს უზენაესი სასამართლოთი, შეხვდნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უზენაესი საბჭოს წევრებს, ასევე პროკურატურის წარმოდმადგენლებს, ინსტიტუციის თქმით შეხვედრას ესწრებოდა 16 პროკურორი, გენერალური პროკურორის წარმომადგენლები, ასევე ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და მოსამართლეებს, სანოტარო ბიუროს ხელმძღვანელს, ადვოკატთა კავშირის პრეზიდენტს და

ასევე მოქმედ ადვოკატებს, საჯარო მოხელეებს, ამ ფორმატით ყველა ის ინსტიტუცია მოიცვეს, რომლებსაც სამართალთან აქვთ შემხებლობა და სწორედ მათი კონსულტაციის შედეგად მოხდა პროგრამის განხილვა. მაგალითად, პროკურატურაში რომ დასაქმდეს კურსდამთავრებული, რა უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეს, რა უნდა დაემატოს პროგრამაში ამ მიმართულებით.
დაწესებულების განმარტებით, ცხარე კამათი მიმდინარეობდა, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან იმის შესახებ უნდა ისწავლებოდეს თუ არა საბაკალავრო პროგრამის ფორმატში სასამართლო ფსიქიატრია და მედიცინა, იყო საუბრები იმის შესახებ თუ რა უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს, რაზე უნდა გაამახვილოს ინსტიტუციამ განსაკუთრებული ყურადღება? როგორი სილაბუსები იქნება უფრო მოქნილი და რელევანტური. მეორე ეტაპად ინსტიტუციამ დაასახელა კერძო სეგმენტთან შეხვედრა, სამშენებლო კომპანიებთან, დისტრიბუტორებთან. ამ პროექტმა მასიურად მოიცვა ის სფერო, რომელშიც აპრიორი შესაძლოა ყოფილიყო იურისტი. სწორედ მათთან კონსულტაციის შედეგად შედგა ზემოაღნიშნული ოქმები. სწორედ ამის შემდგომ დაიწყო ინსტიტუციამ პროგრამის მოდიფიცირება და მასში ცვლილებების შეტანა. მისი თქმით, ფაკულტეტის ბიუჯეტი არის 5 მილიონ 500 ათასი, რაც შეეხება სამეცნიერო პროექტებში მაგისტრანტებისა და ბაკალავრების ჩართვას არსებობს სამეცნიერო პროეტქების შედგენის დებულება, თუ როგორ ხდება განხილვა ფაკულტეტის საბჭოზე, შემდეგ იგზავნება აკადემიურ საბჭოზე და რექტორატში, რის შედეგადაც სპეციალური კომისია განიხილავს მას. პროექტი უნდა იყოს იტერდისციპლინური.
დაწესებულების წარმომადგენლმა ისაუბრა დაისვა საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებულ შეკითხვაზე და აღნიშნა რომ სწორედ ზემოაღნიშნულ პროექტში არიან ბაკალავრები ჩართულები, რომლებიც პროექტის ფარგლებში ამზადებენ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს მენტორების ხელმძღვანელბით. მაგალითისთვის საინჟინრო სამართლის პროგრამის ფარგლებში, ხელოვნური ინტელექტის სამართლის ფარგლებში შეიქმნა სამაგისტრო ნაშრომი ‘’ელექტრონული გაყიდვების სამართლებრივი რეგულაცია’’, ,,ინტერნეტის მიწოდების სამართლებრივი რეგულაცია“. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით, მისი თქმით ბიუჯეტის ფორმატი არ ითვალისწინებს ასეთ მუხლობრივ დაყოფას, მათ ბიუჯეტი დაყოფილი აქვთ შემდეგნაირად: სამეცნიერო პროექტები პროფესორების გადამზადება, სამეცნიერო მივლინებები, ბიბლიოთეკის განახლება, სტუდენტების წახალისება, სტიპენდიები, დაფინანსებები, მივლინებები, რომლებზეც დახარჯულია 233 ათასი ლარი.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პრაქტიკული სამართლის კლინიკა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არის აგებული წმინდა კლასიკური მნიშვნელობის, სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის. კლინიკას დაწესებულება ახორციელებს მემორანდუმებისა და პრაქტიკის ხელშეკრულებების საშუალებით. აქედან გამომდინარე, სოციალურად დაუცველ ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს მოთხოვნა ყველა მიმართულებით, ჰქონდეს სურვილი კონსულტაციის ან სასამართლოში წარმომადგენლობაზე. თვითონ კლინიკის სილაბუსში მითითებულია ადმინისტრაციულ ორგანოში გაგზავნის შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა სასამართლოში წარმომადგენლობის დროს, სისხლის სამართალში დაწესებულება შემოფარგლულია მხოლოდ კონსტულტაციებით, იქედან გამომდინარე რომ ამ მიმართულებით წარმომადგენლობის უფლება არ აქვთ. ძირითადად, მათი განმარტებით ეს არის ზოგადი კლინიკა, არ არის კონკრეტული მიმართულების. კონკრეტულ მიმართულებას ემსახურება უნივესიტეტი პრაქტკული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე. რაც შეეხება სამართლის კლინიკას, აქ ზოგადი მიმართულებით, სისხლის, ადმინისტრაციული კერძო სამართლებრივი მიმართულებით მოხდება კონსულტაცების გაწევა და წარმომადგებლობა. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომების შერჩევას, ეს ხდება აკადემიური დეპარტამენტის მეშვეობით. საბაკალვრო ნაშრომის მტკიცდება აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე, შემდგომში პროფესორისა და სტუდენტის ინიციატივით დამტკიცებული თემა შესაძლოა შეიცვალოს და გადმაშავდეს. მაცნეს user-ის გამოყენებასთან დაკავშირებით აღინიშნა რომ ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან ყველას აქვს წვდომის შესაძლებლობა. რეკომენდაციებში

საუბარი იყო საკანონდმებლო მაცნესთან გარე წვდომაზე. შიდა წვდომა ფაკულტეტის ყველა კომპიტერიდან შესაძლებელია. საკანონდმებლო მაცნეს შემთხვევაში 1-2 წელი გარე user-ის წვდომაზე თავი შეიკავა დაწესებულებამ, რადგან აღნიშნული დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. უნივერსიტეტს ჰქონდა თანხა, თუმცა უფრო პრიორიტეტულად მიიჩნიეს სტუდენტების დაფინანსება და მივლინებები. დაწესებულების განმარტებით, წვდომა შეზღუდულია მხოლოდ კონსოლიდირებულ კანონქვემდებარე აქტებთან.
დაწესებულების წარმომადგენლის მიერ გაჟღერდა ინფორმაცია გამოცდების გასაჩივრების წესთან დაკავშირებით, საბოლოო გაცნობიდან 5 დღის განმავლობაში დეკანის მიერ იქმნება ერთობლივი კომისია და ის იღებს გადაწყვეტილებას. ინსტიტუციის თქმით დაცულია კოლეგიალურობის პრინიციპიც, ვინაიდან გამოცდები ტარდებოდა ელექტრონულად, შეიქმნა გასაჩივრების ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტი ავსებს ბლანკს, მიდის დეკნათან, ხოლო დეკანი მყისიერად გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, იქმნება სამ კაციანი კომისია, რომელიც შედგება მოწვეული პროფესურისაგან. სწორედ ისინი იღებენ გადაწყვეტილებას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტება გააკეთა საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით, მისი თქმით საბაკალავრო ნაშრომის შესრულება არ არის სავალდებულო და არის არჩევითი კომპონენტი და მათ აუცილებლად გაცნობას და შესწავლას არც ფორმატის ვიზიტი ითვალისწინებს. მისი თქმით, ინსტიტუციასაც შეექმნა სამაგისტროებთან მოწოდების პრობლემა, რადგან არქივში იყო გადაცემული და პანდემიის პირობებში სრულად ვერ მოხდა მათი გამოთხოვა.
რაც შეეხება შეკითხვას თუ რატომ მოექცა გარკვეული წილი საკითხები რჩევებში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, რეკომენდაციებში ხვდება კრიტიკული საკითხები, ხოლო რჩევებში შედარებით რბილი. მანვე ისაუბრა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა რომ ინსტიტუციას აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, უბრალოდ თავად პროგრამას რომ ჰქონოდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა , რომელიც ცალკე იქნება კონკრეტული პროგრამისათვის გაწერილი, უკეთეს შედეგს გამოიღებდა. სამეცნიერო ბაზების რჩევებში ასახვასთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ აღინიშნა რომ დაწესებულებას აქვს სამეცნიერო ბაზები, თუმცა უმჯობესი იქნებოდა ისეთი ბაზების დამატება, რომლებიც საინტერესო და საჭიროა ყველა იურისტისათვის.
ექსპერტებმა ისაუბრეს გასაჩივრების მექანიზმზე და ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ მექანიზმზე, როცა პირდაპირ სტუდენტის მიერ დარგის სპეციალისტთან ხდება განხილვა. თუ საკითხი ვერ ამოიწერება, გადადის იმ ტიპის განხილვაზე, რაც გულისხმობს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემას, საბჭოს შეკრებას, დეკანის შუამდგომლობის ჩართულობას და აშ. ამ მექანიზმების გამარტივების და სტუდენტებისათვის უფრო მოქნილი და ხელსაყრელი სერვისების შექმნის მიზნით გაიცა რჩევა უკვე არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.
დაწესებულების განმარტებით, არ შეიძლება ერთი შეფასების გაუქმება მეორე პროფესორის შეფასებით, თუ არ შეიქმნა კომისია და არ გამოიცა ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი. თუ ერთმა კონკრეტულმა პირმა დაწერა ნიშანი, რომელიც ელექტრონულად აისახა, როგორ უნდა გაეუქმებინა ეს შეფასება იმ მიზეზით რომ კოლეგამ მიიღო სხვანაირი გადაწყვეტულება. მათი თქმით, სამართლებრივად უფრო მოწესრიგებული იქნება ბრძანების შემდგომ ნიშნის შეცვლა.
საბჭოს წევრის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტი საბიუჯეტო კოდით 22104, პროფესორ მასწავლებელთა გადამზადებაში მითითებულია 0. ასევე, შრომის ბაზრის ზოგიერთ ასპექტში არ არის ნახსენები მემორანდუმებთან დაკავშირებული ის ინფორმაცია, რომელზეც საბჭოს მიმდინარეობისას იყო საუბარი, თუ ყველა აღნიშნული შეხვედრა ერთიანი მეთოდოლოგიით იქნებოდა შეკრული და ყველგან დაისმებოდა ერთი და იმავე კითხვები, შეიძლებოდა მტკიცება რომ არსებობდა ამგვარი კვლევის მეთოდი, მაგრამ ამ შეხვედრების როგორც ბაზრის კვლევის წარმოდგენა - საბჭოს წევრის აზრით არასწორი გახლდათ.

დაწესებულებამ განმარტა, რომ პროფესიული განვითარების მიმართულებით ბიუჯეტი, პრაქტიკული დანახარჯები, პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელსაც ყოფილი რექტორი ხელმღძღვანელობს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაა, მათი თქმით, ეს ფაკულტეტი პროგრამებთან მიმართებაში, აკეთებს იმაზე მეტს ვიდრე ითხოვდა ხარისხის გარე მაკონტროლებელი ორგანიზაცია. პანდემიის გამო ეს არის გარდამავალი ბიუჯეტი, დისტანციური სწავლების გამო არ ხორციელდება მივლილენებიც, შესაბამისად ეს არის თავის შეკავების მიზეზი. დაწესებულების წარმომადგენელმა საუბრის დასასრულს დაამატა, რომ ეს ეხებოდა 2021 წლის ბიუჯეტს, ხოლო მტკიცებულებების სახით დაიმოწმა ამონაწერები.

14:20 სთ-ზე საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ჭალაგანიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ექსპერტებს წარმოადგინათ მოსაზრებები „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით რეკომენდაციები იყო იდენტური, თუმცა დააზუსტა რამდენიმე საკითხი. მისი თქმით, ბევრი სხვა დაწესებულებისგან განსხვავებით, ლიტერატურასა და ნორმატიულ აქტებთან მიმართებით ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხაა გათვალისწინებული. სასწავლო კურსი -''ევროკავშირი სამართალი და მისი გავლენა ქართულ სამართალზე'' ასოციაციის შეთანმებიდან გამომდინარე მუდმივად იცვლება, ამიტომ ლიტერატურის მითითება და განახლება ექსპერტის განმარტებით გახლდათ კრიტიკულად მნიშვნელოვანი, თუმცა ის ლიტერატურა, რომლებიც ექსპერტებმა ჩათვალეს რომ უბრალოდ სასურველი იქნებოდა დამატებულიყო გაიწერა რჩევებში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, თუ რატომ გამახვილდა დარგობრივ მახასიათებელში ყურადღება ყველა მემორონდუმსა და ხელშეკრულებაში სტუდენტთა რაოდნეობის აუცილებლად მითითებაზე პრაქტიკის გავლის დროს, კერძოდ როდესაც ნებისმიერი უნივერსიტეტი განაცხადებს, რომ მას ჰყავს 100 სტუდენტი და ისინი საჭიროებენ პრაქტიკის გავლას, როგორც ექსპერტთა ჯგუფს, ასევე დაინტერესებულ მხარეებს უნდა ჰქონდეთ მტკიცებულება რომ დაწესებულებას გააჩნია შესაძლებლობა მითითებული რაოდენობის სტუდენტებს გაატაროს პრაქტიკა. ესპერტმა ასევე ყურადღება გაამახვილა პერიოდულობაზე, თუ სტუდენტი უნდა გადიოდეს პრაქტიკას 1 სემესტრის განმავლობაში, ხელშეკრულებაშიც უნდა იქნეს მითითებული 1 სემესტრი. რაც შეეხება რეკომენდაციას საკანანომდებლო მაცნესთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია საბაკალავრო პროგრამაში ასახული რეკომენდაციის იდენტურია, რაზეც უკვე ისაუბრა.

დაწესებულების წამრმომადგენელი შინაარსობრივ კონტექტს დაეთანხმა, თუმცა აღნიშნა,რომ წარმოდგენილ პროგრამებს, როგორც ბაკალავრიატის ისე მაგისტრატურის საფეხურზე აქვს უპირატესობა, იმ თვალსაზრისით რომ არა მხოლოდ დღეს ამტკიცებს უნივერსიტეტი, რომ იმსახურებს დადებითი შეფასებას, არამედ თითოეული აკრედიტაციის რეჟიმში მყოფ წევრთან მიმართებაში კონკრეტული შედეგებით ამტკიცებს ამას. ბოლო წლების განმავლობაში, რაც აღნიშნული პროგრამა არსებობს, არც ერთხელ საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით პრობლემა არ დამდგარა. მან მომავალშიც გამოთქვა მზაობა უფრო მეტი ხელშეკრულების მემორანდუმებით წარსდგნენ საბჭოს წინაშე.

დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტებს რომ ლიტერატურა მუდმივად უნდა განახლდეს. ევროკავშირის სამართალი დაწესებულების განმარტებით, ისწავლება როგორც საბაკალავრო ისე მაგისტრატურის საფეხურზე. ამ მიმართულებით ქართული სახელმძღვანელოები ძალიან ცოტაა, ძირითადად სარგებლობენ დირექტივებით მაგისტრატურაში, ის ორი წიგნი, რომელიც მითითებულია დევიძე, ამირანაშვილის, ასევე გაბეჩიძის წიგნი ევროკავშირში, ორივე აქვს დაწესებულებას ჩასმული საბაკალავრო პროგრამაში, ერთო 2012 წლის ხოლო ბოლო 2019-2020-ის. ამ ორი წიგნის ორივე საფეხურზე მითითება დაწესებულების თქმით არარელევანტური იქნება, ხოლო საბაკალავრო საფეხურზე გაბეჩიძის წიგნი აუცილებლად უნდა იყოს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ ის გაეცნო სამაგისტრო ნაშრომების სიას და აღმოაჩინა რომ 2018 წელს დაცულ სამაგისტრო ნაშრომებში წარმოდგენილია ორი სამაგისტრო ნაშრომი სათაუროთ ''საპროცესო შეთანხმება'' 2019 წელს ამავე სათაურით არის წარმოდგენილია ერთი ნაშრომი მცირედი განსხვავებით,''საპროცესო შეთანხმება საქართველოში". 2020 წელს კი კიდევ ერთი ნაშრომი იდენტური სახელწოდებით, ''საპროცესო შეთანხმება'', მან დასვა შეკითხვა იმის შესახებ თუ რამდენად მართებულად მიაჩნია დაწესებულებას, ერთი და იმავე სახელწოდებებით 3 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომები.
საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე დაინტერესდა, რა შთაბეჭდილება დარჩათ ექსპერტებს სამაგისტრო ნაშრომების დათვალიერების შემდეგ და ერთ აკადემიურ პერსონალზე რამდენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა გამოდის საშუალო სტატისტიკურად და არის თუ არა შეზღუდვა თუ რამდენი მაგისტრანტის აყვანა შეუძლია ხელმძღვანელს.
გაჟღერდა შეკითხვები პროგრამის სტრუქტურასთან მიმართებით, პირველი ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობას, ამ ნაწილში, მაკა კაჭარავას თქმით, დაწესებულებას აღნიშნული აქვს მხოლოდ ''აკადემიური წერა'' და ''კვლევის მეთოდები'' ხოლო იურიდიულ კლინიკაში და პრაქტიკულ კომპონენტში საკმაოდ რელევანტურად და ლოგიკურად მითითებულია, პირველი და მეორე სემესტრის სავალდებულო საგნების გავლა, ის დაინტერესდა რამდენად სწორია რომ მხოლოდ ''აკადემიური წერა''და ''კვლევის მეთოდები'' არის საკმარისი იმისათვის რომ მაგისტრანტმა ნაშრომი წარმოადგინოს და დაშვებულ იქნას დაცვაზე. მან ასევე აღნიშნა რომ, მესამე სემესტრის დასაწყისში 15 კრედიტი ეთმობა სავალდებულო მოდულიდან, მეორე 15 კრედიტი დათმობილია პრაქტიკული იურიდული კლინიკის კრედიტის გავლაზე, რაც ჯამში 30 კრედიტია, ხოლო ქვემოთ მოცემულია იმავე სემესტრში 15 კრედიტის მოცულობით თავისუფალი კომპონენტი. თუ ეს რაოდენობაში 45 გამოდის, შესაბამისად ერთ-ერთი არჩევითია, ის დაინტერესდა რამდენად რელევანტურია სამააგისტრო საფეხურზე რეგულირებად სამართლის სპეციალობაზე, თავისუფალი კომპონენტი ასეთ დიდი რაოდენობით იყოს შეთავაზებული.
საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის განმარტებით, არსებობს ბევრი ინგლისურენოვანი საერთაშორისო ბაზა, რომლებიც სამართლის მკვლევარისთვის ძალიან მნიშვნელოვანი. ის დაინტერესდა ექნებათ თუ არა სამართლის სტუდენტებს ხელმისაწვდომობა აღნიშნულ ბაზებზე და როგორ შეძლებენ ისინი სრულყოფილი კვლევითი ნაშრომების შექმნას.
ასევე საბჭოს წევრმა აღნიშნა რომ სამაგისტრო საგნად მითითებულია ''ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი", თუმცა შედეგებში მითითებულია საბაკალავრო საფეხურის შედეგები, დაისვა შეკითხვა იმის შესახებ თუ როგორ მოხვდა სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო საგნად ბაკალავრიატისთვის განსაზღრული საგანი.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა რომ, საგანი ''აკადემიური წერა'' და ''კვლევის მეთოდები'' დაწესებულებას ერთად აქვს განსაზღვრული, მისი აზრით კი სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსებია, შესაბამისად დაინტერესდა თუ რატომ არის აუცილებელი მათი ერთად სწავლება. ასევე, მისი თქმით, საბაკალავრო პროგრამაში საგანი ''ფილოსოფია'' მოცემულია როგორც როგორც არჩევითი სასწავლო კურსი, ანუ ის შესაძლოს ან აირჩოს სტუდენტმა ან არა, თუმცა ამავდროულად სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტმა უნდა გაიაროს სავალდებულო კურსი ,,სამართლის ფილოსოფია", ის დაინტერესდა რამდენად რელევანტური და შესაძლებელია სამართლის ფილოსოფიის შესწავლა ფილოსოფიის საფუძვლის შესწავლის გარეშე.
სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ სილაბუსებზე: "შედარებითი კერძო სამართალი'' , „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი'' და ,,შრომის სამართალი". მან განმარტება დაიწყო ,,შრომის სამართლის" სილაბუსიდან, რომელშიც მისი თქმით მოცემულია ქარდავას ახალი სახელმძღვანელო და მოიცავს ევროსასამართლოს სამი თუ ოთხი გადაწყვეტილების მოკლე ანოტაციას ქართულ ენაზე. გარდა ამისა,როდესაც ამ

მიმართულებით დირექტივები და სტანდარტები ისწავლება, ამ სტანდარტების სწავლებაში სამი კომპონენტია, ერთი რა წერია ნორმაში, შემდგომ დოქტრინა როგორ განმარტავს და შემდგომ როგორ განმარტავს მას სასამართლო პრაქტიკა.
მისი თქმით, სილაბუსში მოცემული ლიტერატურა უკვე საკმარისია იმისთვის რომ შედარებითი კვლევის სამართლებრივი მეთოდით შრომის სამართალში ქარდავას სახელმძღვანელოს გარეშე გახვიდე ფონს. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს წმინდა აკადემიური თავისუფლების საკითხია და პატივისცემის მიუხედავად ამ სეგმენტში ვერ დაეთანხმნენ ექპსერტებს. რაც შეეხება სილაბუსს ''შედარებითი კერძო სამართალი'' განსხვავებით სხვა სილაბუსებიგან ექსპერტების მიერ არ არის რეკომენდაციაში მითითებული თუ რომელ ლიტერატურა აკლია მათი აზრით. მისი განმარტებით, იგივე სიტუაციაა სასწავლო კურსის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი'', მათ აქვთ ქართული კვლევებიც და ამ მიმართულებით არსებობს თანამედროვე ლიტერატურის საკმაოდ ფართო ასორტიმენტი. უპირატესად ეს საგნები აგებულია ევროპული მოდელის ქართულ მოდელთან შედარებაზე.
სამაგისტრო ნაშრომების სათაურებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა ორი არგუმენტი, პირველი ის რომ დუბლირება ტექნიკური ხასიათისაა და ერთსა და იმავე თემაზე კვლევა სტუდენტებს არ ეკრძალებათ, სამართალი დინამიური პროცესია და ნიშნავს, არამარტო იმას რაც წერია ლიტერატურაში არამედ სასამართლო პრაქტიკასაც. შესაბამისად, მათი მოსაზრებით, ეს პრაქტიკა მუდმივად ახლდება და იძენს ახალ ტენდენციებს, შესაბამისად კვლევა ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის მიერ პრობლემას არ წარმოადგენს. საპროცესო შეთანხმება დაწესებულების განმართებით არის საკმაოდ ახალი ინსტიტუტი.
პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას საერთაშორისო ბაზების მნიშნვნელობაზე სამართალმცოდნეობაში, მისი თქმით სწორედ ამ ბაზების საფუძველზე ტარდება კვლევა, თუმცა ამ მონაცემთა ბაზების ცალკეული სეგმენტები სხვადასხვა კომბინაციებით გადანაწილებულია ბმულებსა და პროვაიდერებში, რომელიც ჩამონათვალში არსებობს. ერთმინშვნელოვნად არ შეიძლება ითქვას რომ თუ კონკრეტული ბაზა არ გაქვს კვლევებისთვის, არ გაქვს წვდომა მონაცემთა ბაზებზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უკეთესი ცხადია არსებობს, მათ სურთ რომ ამერიკულ ბაზაზე ჰქონდეთ წვდომა და ისინი ნამდვილად იფიქრებენ ზემოაღნიშნულზე.
შემდეგი შეკითხვა ეხებოდა პროგრამის სტრუქტურას და 15 კრედიტიან საგნებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, 15 კრედიტი არის საერთო სავალდებულო საგნები ყველა მიმართულებით, ვინაიდან პროგრამას ჰქვია სამართლის სამაგისტრო პროგრამა, აქვს ამბიცია სტუდენტს სამივე მიმართულებით მისცეს საბაზისო ცოდნა შედარებით სამართალებრივი და ტელეოლოგიური მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, იქნება ეს საჯარო, კერძო თუ სისხლის მიმართულება. ამ თვალსაზრისით, 15 კრედიტი ეკუთვნის სამივე მიმართულებიდან ყველა მნიშვნელოვან საგანს. შემდეგი 15 კრედიტი ეთმობა კლინიკას, რომელიც პრაქტიკული ნაწილია. სამართლის პრაქტიკში გამოყენება საკმაოდ მნიშვნელოვანი თემაა და სულ მცირე 15 კრედიტია დარგობრივი სტანდარტითაც პრაქტიკულ კომპონენტზე გამოყოფილი, მისი განმარტებით, პროგრამის მესვეურები შეეცდებიან პრაქტიკული კომპონენტი კიდევ უფრო გაზარდონ. რაც შეეხება შეკითხვას თავისუფალ კრედიტებთან დაკავშირებით, მისი თქმით, სამაგისტრო კვლევა არის პატარა დისერტაცია და დაწეესებულებას აქვს ამბიცია რომ აღნიშნული კვლევა იყოს შედარებით სამართლებრივი და უფრო დიდი ამბიცია აქვს რომ იყოს შედარებითი სამათლებრივი და ინტერდისციპლინური. მაგალითად, სამედიცინო სამართალი, ბიზნეს სამართალი ან მარკეტინგი და სამართალი, შემდგომში თემების კონსტრუქცია უფრო მეტად დაკონკრეტდება. სათაურები იქნება კონკრეტულ პროგრამებზე ორიენტირებული და იქნება ინტერდისციპლინური. დანარჩენი კი რაც 45-იდან 60-მდე კრედიტი აკლია, არის სპეციალიზაციის საგნები. ეს დამოკიდებულია სტუდენტზე, სურვილის შემთხვევაში აირჩევს სისხლის სამართლის მიმართულებას, საჯაროს ან კერძოს.

გაჟღერებულ შეკითხვას თუ რატომ ისწავლება ''აკადემიური წერა'' და'' კვლევის მეთოდოლოგია'' ერთ საგანში, ინსტიტუციის წარმომადგენელმა უპასუხა რომ აკადემიური წერის გარეშე, ნაშრომის სტრუქტურირება, აზრის გადმოცემა და არგუმენტირება სამაგისტრო ნაშრომისთვის წარმოუდგენელია. მეორე სეგმენტი კი არის, უმნიშვნელოვანესი, რადგან კვლევის მეთოდები ყველა მეცნიერებაში ფაქტობრივად ერთიდაიგივეა, მაგრამ თუ დარგობრივად ვატარებთ კვლევას იქ განსხვავებული სპეციფიკებია, მაგალითად ემპირიული კვლევა ბიოლოგისთვის არის ყვავილების შესწავლა, ხოლო იურისტისთვის სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლა. შესაბამისად ყვავილებზე და სასამართლო გადაწყვეტილებაზე დაკვირვება ერთნაირი მეთოდოლოგიის ვერ იქნება, ამიტომ სამართლებრიც კვლევის მეთოდებზეა აქცენტები გაკეთებული და ეს შერწმულია აკადემიური წერის კომპონენტთან. დაწესებულების განმარტებით ბაკალავრიატში ისწავლება ფილოსოფიის საფუძვლები, აქ კი ისწავლება სამართლის ფილოსოფია. სამართლის ფილოსოსოფია ცალკე დარგად აქვს დაწესებულებას გამოყოფილი, თუმცა სამაგისტრო საფეხურზე ცალკე დარგად ფილოფოსიური ღირებულებებათა კატეგორიის გარე არცერთი მექანიზმის ნორმის შესწავლა არ ხდება. სამართლის ფილოსოფიის კომპონენტებს ნორმის ტელეოლოგიას, სამაგისტრო დონეზე ყველა საგნის მიმართულებით ეცნობა ადამიანი. ამ საგანში შეერთებულია სკოლებისა და მიმიდინარეობის მიმართულებები.

რაც შეეხება საგანს ,,ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი", ინსტიტუციის წარმომადგენლის განმარტებით, საბაკალავრო საფეხურზე ისწავლება ,,ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი" ევროპული კონვენციის მიხედით, შინაარსობრივადაც დიდი განსხვავებაა, იმიტომ რომ იქ ისწავლება უფლებობრივი ნაწილი და მისი პრაქტიკა, ხოლო რაც შეეხება მაგისტრატურის საგანს: ,,ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს"- აქ არის მოცემული მექანიზმები, არაუფლებობრივი ნაწილი: სიცოცხლის უფლება ან წამების აკრძალვა, არამედ უნივერსალური, რეგიონალური, სადაც მოცემულია ინტერამერიკული, აფრიკული სასამართლო.ს აბაკალავროში, ასევე სავალდებულოა, თუმცა მხოლოდ ევროპული კონვენციას ეყრდნობა და შინაარსობრივად ისეა აგებული რომ უფლებრივი ნაწილი იყოს. დაწესებულების პოზიცია იყო, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი შესულიყო სავალდებულო საგნად სამაგისტროზე, ყველა საკვალიფიკაციო გამოცდა ითხოვს წამების აკრძალვის კონვენციას, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ კონვენციას. ითხოვენ ყველა იმ პირველად წყაროს და სამართლებრივ მექანიზმს. ეს სამართლებრივი მექანიზმი სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე არსად არ ისწავლება, სახელმძღვანელოების დონეზე შესაძლოა გაიგოს სტუდენტმა რომ არსებობს ასეთი კონვენცია , თუმცა ის რომ მაგისტრანტს გააზრებული ჰქონდეს აღნიშნული საკითხი აუცილებელია.

ექსპერტები დაკონკრეტდნენ ლიტერატურასთან დაკავშირებით, ისინი იყვნენ დილემის წინაშე, არ სურდათ შეჭრილიყვნენ აკადემიური თავისუფლების ნაწილში. სამაგისტრო პროგრამაში განსხვავებით ბაკალავრიატისგან, კონკრეტულად არ არის მითითებული სილაბუსებთან მიმართებაში რომელი ლიტერატურასთან იყო რეკომენდაცია გაცემული. მისი ჩანაწერის მიხედვით განახლება შეეხებოდა ზოგადად განახლების საკითხის და უფრო მეტად ეხებოდა სასამართლო გადაწყვეტილებების ნაწილს და არა ლიტერატურაში უშუალოდ სახელმძღვანელოებს. რაც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომების გაცნობას, ეს პროცედურა ექსპერტების განმარტებით online რეჟიმში განხორციელდა, წარმოიშვა პრობლემა რიგი გამოთხოვილი ნაშრომების მიწოდებასთან დაკავშირებით, რადგან ისინი არქივში იყო გადაცემული პანდემიის გათვალისწინებით. სწორედ ამ მიზნით, ექსპერტებმა შეცვალეს სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგი და ნაშრომების გადახედვა გადაიტანეს დღის ბოლოსთვის, თუმცა მათ მიერ გამოთხოვილი ყველა ნაშრომის მიწოდება მაინც ვერ განხორციელდა დაწესებულების მხრიდან. შესაბამისად, ექსპერტებმა განმარტეს, რომ რა ნაშრომების მიეწოდათ, იმის საფუძველზე მოახდინეს შემოწმება. სამწუხაროდ ყველა ნაშრომის დეტალურად განხილვა ვერ მოახერხეს თუმცა დაწესებულებამაც განმარტა, რომ მოწოდებული ნაშრომები დეტალურად იყო განხილული და აღწერილი დასკვნაში.

საბჭოს წევრმა დაინტერესდა თუ რატომ მიეწოდა ექსპერტებს გამოთხოვილი ნაშრომების მხოლოდ ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა რომ რიგი მოთხოვნილი ნაშრომების მოწოდება ვერ მოხდა, გამომდინარე იქედან რომ ვერ მოხდა მათი არქივში მოძიება დადგენილ ვადაში, საუბარი იყო 4 წლის წინანდელ ნაშრომებზე, ხოლო შედარებით ახალი ნაშრომები მოწოდებულ იქნა. მოწოდებული ნაშრომების გადახედვის შედეგად, ექსპერტებმა დაასკვნეს რომ შეფასებები, მიდგომები იყო სტანდარტის შესაბამისი. თუ ნაშრომს ეწერა 51 ქულა, ნაშრომი სწორედ ამ ქულაზე იყო შეფასებული. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად სამაგისტრო ხელმძღვანელებთან გასაუბრის ბოლო პანელზე გადატანისა, ნაშრომები ბოლო 1 სთ-ში მიეწოდა მათ, შესაბამისად ვერ განხორციელდა მათი სრულყოფილად შესწავლა.

საბჭოს წევრმა, ექსპერტებს მიმართა შეკითხვით, თუ რამდენად მართებული იყო ერთი და იმავე სახელწოდებით დაცული სამაგისტრო ნაშრომები და ასევე მიმართა ცენტრს რამდენად იყო შესაძლებელი დადგენილი უფლებამოსილებით საბჭოს გამოეთხოვა სამაგისტრო ნაშრომები.

ექსპერტის განმარტებით ნაშრომები შესაძლებელია იყოს იდენტური სათაურით.

დაწესებულებამ კიდევ დამატებით არგუმენტად აღნიშნა, რომ ნაშრომები მოწმდება ანტიპლაგიატზე, შესაბამისად დამთხვევის შემთხვევაში დაცვაზე ვერ ნაშრომი არ დაიშვებოდა.

გაჟღერდა შეკითხვა, თუ რომელი წლიდან მოწმდება ანტიპლაგიატზე თემები და ნაშრომები, რომლებიც მოთხოვნილი ნაშრომები შემოწმებული იყო თუ არა ანტიპლაგიატზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამა მოქმედებდა 18 წლიდან, ხოლო სავალდებულო გახდა 2020 წლიდან, თუმცა მაშინაც როდესაც სავალდებულო არ იყო და ჰქონდა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი, ყველა ის ნაშრომი, რომელმაც მიიღო მაღალი შეფასება შემოწმდა პლაგიატის პროგრამაზე.

16:35 სთ-ზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა ელენე ჟურავლიოვა.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა, რატომ უნდა ჰქონდეს პროგრამას ან ფაკულტეტს ინტერესი, რომ ორი ერთი და იგივე საკითხზე ორჯერ მოხდეს დაცვა, სამაგისტრო ნაშრომის იდეა არის ის,რომ რაღაც ახალი ითქვას ამ სფეროში, რაღაც ახალი აღმოჩინოს. მისი თქმით, საპროცესო შეთანხმება საკმაოდ გადაღეჭილი საკითხია. ქულა იმასაც ენიჭება თუ რამდენადაა აქტუალური საკითხი, თუ სამი, ოთხი კვლევაა როგორ გამოდის საკითხი ამდენად აქტუალური, ასევე საბჭოს წევრის თქმით თუ ნაშრომები პლაგიატზე გატარდა, დაწესებულებას მათი ელექტრონული ვერსიებიც აუცილებლად ექნებოდა.

ამ საკითხზე ექსპერტმა განმარტა, რომ იდენტური შეკითხვის დასმისას დაწესებულებისგან მიიღო პასუხი, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია ინახებოდა ცალკე არქივში.

ინსტიტუციამ აღნიშნა, რომ 2020 წელს არის შემოსული საპროცესო შეთანხმება საქართველოში. აღნიშნეს, რომ მივლინებით ჩავიდნენ სიცილიაში, რის შედეგადაც შეისწავლეს ეს ინსტიტუტი, 2004 წლიდან დინამიურად შეიცვლება და ნამდვილად არ არის გადაღეჭილი თემა, არც სერიოზული მონოგრაფია არ არის ამაზე დადებული. მათი განმარტებით, სამაგისტრო ნაშრომები ინახება არქვივში, დაწესებულებამ წინასწარ არ იცოდა რომელ სამაგისტრო ნაშრომებს მოითხოვდა ექსპერტთა ჯგუფი, თავისი ელექტრონული ვერსიით, პლაგიატის შემოწმებელი დამადასტურებელი დოკუმენტით.

საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა იმის შესახებ, ეკუთვნოდა თუ არა ეს ნაშრომები ერთსა და იმავე სამაგისტრო ხელმძღვანელს, თუ განსხვავებული ხელმძღვანელები იქნებოდა შემცირდებოდა გადაწერის შანსი.

ასევე გაჟღერდა კითხვა, რამდენად აქვთ სტუდენტებს მათი წინამორბედი სტუდენტების ნაშრომების გაცნობის შესაძლებლობა, სტუდენტი, რომელიც იგივე საკითხზე მუშაობს აუცილებლად უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა გაცნობოდა მის წინამორბედ ნაშრომს.

დაწესებულებამ განმარტა რომ 4 სხვადასხვა ხელმძღვანელია მითითებული.

სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, ექსპერტის განმარტებთ სამართლის სპეციფიკაა გასათვალისწინებელი, საქართველოში დინამიკა მისი განმარტებით არის საკმაოდ

არამდგრადი, როგორც საკანონმდებლო რეგულაციის, ისე სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით. სათაური და ხელმძღვანელიც არ არის იმდენად მნიშვნელოვანი რამდენადაც შინაარსი. ის შესაძლოა ახალ მიმართულებებს ახალ რეგულაციებს და ახალ პრაქტიკას ეხმიანებოდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 17:00

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:
რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურს ების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლებისა და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით;

მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის „დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები" სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები";

რეკომენდირებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში დაზუსტდეს პრაქტიკის გამვლელ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში სტუდ ენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის;

რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავ რო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე"- სის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.

რჩევები:
სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო

ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმიც იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოზიდვა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევაში;

სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებდეს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის;

სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც უკვე B.2.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და ამ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის (ენის ცოდნის შესაბამისი დონის სერტიფიკატი ანუ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს (ჯამში 10 კრედიტის მოცულობით), ხოლო უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილი 22 კრედიტის ათვისების შესაძლებლობა ექნებათ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამასთან, ამ შემთხვევაში, ასევე, სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნული 22 კრედიტი, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხოენის შესწავლის ხარჯზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი გათვალისწინებული უნდა იქნას უცხო ენის შესწავლის დაწყება საწყისი A1 დონიდან;

სასურველია, უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება;
სტუდენტის მიერ უცხოური სამეცნიერო წყაროების კვლევით პროცესში ფართოდ გამოყენების მიზნით, სასურველია უსდ-მ შეიძინოს სამართალის მიმართულების ისეთი აქტუალური რესურსები, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com აღნიშნული რესურსების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობით;

სასურველია აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი ახალი გარემოებების საფუძველზე, სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით დაამატა ერთი რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში სამაგისტრო ნაშრომებთა დაკავშირებით თემატური მონიტორინგის განხორციელების, ხოლო 1 წელში რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, დამატებით განსაზღვრა ერთი რეკომენდაცია, საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლების მიზნით;

რეკომენდირებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში დაზუსტდეს პრაქტიკის გამვლელ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში სტუდ ენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის;

საბჭოს სხდომაზე აღმოჩენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ნათელი გახდა, რომ ექსპერტებს დაწესებულებაში ვიზიტის განმავლობაში მხოლოდ შეზღუდულად მიეცათ შესაძლობლობა ენახათ მოთხოვნილი სამაგისტრო ნაშრომები. შესაბამისად, საბჭომ გადაწვეტა რომ ცენტრის მიერ უნდა დაიგეგმოს მიზნობრივი მონიტორინგი, რათა შემოწმებულ იქნეს სამაგისტრო ნაშრომების შესრულების შესაბამისი სტანდარტები;

რეკომენდირებულია სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- სის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.

რჩევები:

სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმიც იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოზიდვა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევაში;

სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებდეს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის;

სასურველია, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს და დაინერგოს სტუდენტთა შედეგების შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, განხორციელდეს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და ამის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება.

სტუდენტის მიერ უცხოური სამეცნიერო წყაროების კვლევით პროცესში ფართოდ გამოყენების მიზნით, სასურველია უსდ-მ შეიძინოს სამართალის მიმართულების ისეთი აქტუალური რესურსები, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com აღნიშნული რესურსების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობით;

სასურველია აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში სამაგისტრო ნაშრომებთა დაკავშირებით თემატური მონიტორინგის განხორციელების, ხოლო 1 წელში რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

17:10 სთ-ზესაბჭოს სხდომა დატოვა ანა ფირცხალაშვილმა.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაციასა განმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბერი, N 498 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საინჟინრო ფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ფიზიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ.კოსტავას ქ. N77, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსი N4, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბერი, N 519 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საინჟინრო ფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ფიზიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	მ.კოსტავას ქ. N77, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსი N4, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან განიხილებოდა ერთი დაწესებულების სამართლის სხვადასხვა საფეხურის პროგრამები, ერთი და იმავე ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უმჯობესი იქნებოდა მათი ერთად განხილვა.

17:19 სთ-ზე სხდომას შემოუერთდა ნინო ინასარიძე.

მესამე და მეოთხე საკითხების ზეპირი მოსმენა:

ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდოამრემ აღნიშნა რომ ვიზიტი დისტანციურ ფორმატში განხორციელდა 2020 წლის 24 და 25 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორი საგანმანათლებლო პროგრამა: საინჟინრო ფიზიკის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.
ექსპერტის განმარტებით, პედაგოგებმა და აკადემიურმა პერსონალმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მისი თქმით, ფიზიკის ფაკულტეტს საკმაოდ დიდი ტრადიციები გააჩნია, შუალედური როლი უკავია ინჟინერსა და ფიზიკოსს შორის. ფაკულტეტის დაარსებიდანვე ის ორიენტირებული იყო არამარტო დოქტორები არამედ ბაკალავრებიც კი,

სათანადო მკვლევრის სტატუსით მოემზადებინა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ნანოტექნოლოგიები და ნანოელექტრონიკა დღეისთვის ფაქტობრივად აღარ არსებობს ინსტიტუციაში. წარმოდგენილი იყო ძირითადად მასალების ფიზიკა და სამედიცინო ფიზიკა. თავად სპეციალობა არის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების დეპარტამენტის შემადგენლობაში, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების დეპარტამენტი აღჭურვილია თანამედროვე, ნოვატორული ტექნიკით. ექსპერტის თქმით, მეცხრე კორპუსი არის ახლადაშენებულია, განთავსებულია ახალი მოწყობილობებია და შესაბამისად ამ ტექნიკით ფაკულტეტიც სარგებლობს. მისი ცნობით, ჯგუფმა დაათვალიერა ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, მოითხოვეს სხვადასხვა თანამედროვე ლიტერატურა რაც ინსტიტუციის მხრიდან მოწოდებულ იქნა. მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ასევე აქვთ წვდომა სხვადასხვა სამეცნიერო მასალებზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარადგინა რამდენიმე რეკომენდაცია:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენებთან მიმართებაში მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურების ენებთან. სილაბუსებში ძირითადად მითითებულია ქართულ და ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ხოლო მისაღებ გამოცდებზე უცხო ენა შესაძლოა ჰოლანდიური ენა ჩააბაროს და ის ვერ ისარგებლებს ინგლსიურენოვანი ან ქართულენოვანი ლიტერატურით;

გაძლიერდეს სასწავლო პროგრამა თეორიული და პრაქტიკული საკითხებით ვაკუუმური ტექნიკის შესახებ;

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან (განათლების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანება).

რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სთხოვა ექსპერტებს ეს საკითხი დასკვნაში არ შეეტანათ, რადგან მისი განხილვა ინსტიტუციაში უკვე მიმდინარეობდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა, მათ ხელთ არსებული დოკუმენტებიდან გამომდინარე ის დასკვნაში მაინც ასახეს. არგუმენტირებულ პოზიციაში, დაწესებულებამ მიუთითა რომ უნივერსიტეტის მიერ ამჟამად უკვე ეს ხარვეზი გამოსწორებულია.

ექსპერტების რეკომენდაციიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა პროგრამის დაშვების წინაპირობაზე უცხო ენებთან მიმართებით. მისი თქმით, ქართულენოვანი პროგრამა უზრუნველყოფილია ქართულენოვან ლიტერატურით, თუმცა ამავდროულად ჩართულია ინგლისური ენაც, პროგრამა თავისი წინაპირობებით სრულ თანხვედრაშია საქართველოს კანონთანმდებლობასთან. დამატებით უცხო ენებთან დაკაშირებით მიდგომა კი განპირობებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების სტანდარტით ბაკალავრიატის პროგრამებთან მიმართებაში, სადაც მისაღები გამოცდა ტარდება 4 უცხო ენაში: ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული. ამ მიდგომის გათვალსიწინებით უცხო ენაში მოაზრებულია ეს ოთხი ენა. წინაპირობების განსაზღვრისას ასევე აღსანიშნავია რომ ძირითად მისაღებ კონტიგენტს წარმოადგენს საინჟინრო ფიზიკის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები, თითქმის 85 პროცენტი. არჩევითი საგნის სახით ისინი გადიან სასწავლო კურსს 4 უცხო ენაზე, დამთავრების შემდეგ მათ აქვთ უცხოური ენის B2 დონის ცოდნა, რაც მოითხოვება პროგრამის წინაპირობაში. ამდენად, ინსიტუციის განმარტებით მხოლოდ ერთი, მაგალითად ინგლისური ენის ჩასმა, ხელოვნურ ბარიერებს შექმნიდა ბაკალავრიატის არაინგლისურენოვანი კურსდამთავრებულებისთვის, რაც გაზრდიდა პროგრამაზე ჩაბარების მოტივაციის დაკარგვის რისკებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამაში ასევე არის არჩევითი სასწავლო კურსები ინგლისური ენის შესწავლის თვალსაზრისით, მოიაზრება ტექნიკური თარგმანიც. ნებისმიერი ენით ჩაბარებული სტუდენტისათვის დაწესებულებას აქვს უზრუნველყოფილი ლიტერატურა და დამატებით თავს უფლება მისცეს ჩაესვათ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. გარდა ამისა ინგლისურენოვანი ლიტერატურა და თვითონ ინგლისური ენა წარმოადგენს

ერთ-ერთ ძირითად საერთაშორისო საკომუნიკაციო ენას, პუბლიკაციები, პრეზენტაციები ძირითადად ინგლსირ ენაზეა, შესაბამისად დაწესებულებამ სილაბუსებში სწორედ ამ ენის ჩასმა გადაწყვიტა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ პროგრამის მასალების შრომის ბაზრის ფოლდერში წარმოადგენილია რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც არის ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევები, არის გარკვეულ დამსაქმებლთა გამოკითხვა, თუმცა არ ჩანს, რომ ჩატარდა კვლევა, სადაც არსებოდბა ერთანი მეთოდოლოგიური სისტემა, გარკვეული პრინციპი, რომლის მიხედვითაც მართლა იკვლევდა დაწესებულება შრომის ბაზარს და დაადგენა გარკვეულ ტენდენციების თუ როგორ მოხდებოდა გარკვეულ პერიოდიში ამ მოთხოვნის ფორმირება. ასევე, ბიუჯეტში წარმოდგენილია თანხები, რომლებიც აშკარად მეტია, ანუ შემოსავალი მეტია გასავალაზე, შემდგომ ექსელის ცხრილშია წარმოდგენილი გარკვეული მცდელობა რომ დაწესებილებას აესახა პროგრამის შემოსავალ - გასავალი. საბჭოს წევრის მოსაზრებით აღნიშნულ საკითხთან მიმართებით აღებულია მხოლოდ პირდაპირი ხარჯები, ნახსენები არ არის თუ საიდან ფინანსდება მაგისტრების კვლევა. ასევე, სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით მითითებულია რომ პროგრამა წამგებიანია 13626 ლარით, ის დაინტერესდა დასვა შეკითხვა იმის შესახებ თუ ვინ აფინანსებდა აღნიშნულ მეტობას.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ გააჟღერა რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვა, მისი თქმით, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, შესაძლებელია რომ ერთ სალექციო კურსში ლექტორს ჰყავდეს ისეთი სტუდენტები, რომლებმაც ჩააბარეს სხვადასხვა უცხო ენა: რუსული, ფრანგული და ინგლისური, ის დაინტერესდა არის თუ არა საშუალება ლექტორმა სასწავლო მასალა სამივე ენაზე შესთავაზოს სტუდენტებს და გასცეს თანაბარი ცოდნა. მან ასევე კითხვით მიმართა ექსპერტებს, კერძოდ რჩევებში ერთ-ერთი ჩანაწერი ეხებოდა, ''სამაგისტრო ნასრომებისთვის სამეცნიერო სტილის ფორმატში მოყვანა'' ის დაინტერესდა თუ რის საფუძველზე გაიცა რჩევა და რა ფაქტობრივი გარემოება იგულისხმებოდა, ასევე მეორე რჩევა ბაზებთან მუშაობის გაზრდასთან დაკავშირებით, საინტერესო იქნებოდა ექსპერტების მხრიდან ამ თემის გაშლაც.
17:57 სთ-ზე საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი ღაღანიძემ.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ აღნიშნა რომ პროგრამის დასაქმების მაჩვენებელი არის ძალიან მაღალი - 91%, ის დაინტერესდა ექსპერტებს ჰქონდათ თუარა შესაძლებლობა შეხვედროდნენ დამსაქმებლებს და რა შთაბეჭდილება დარჩათ ამ მიმართულებით, ასევე დაისვა შეკითხვა, შეეძლო თუ ინტიტუციას მოეყვანა წარმატებული მაგალითი, თუ რომელ კომპანიებში არიან დასაქმებულბი კურსდამთავრებულები.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დასვა კითხვა სამაგისტრო ნაშრომის მიზანთან დაკავშირებით, ის მხოლოდ ორიენტირებულია იმაზე რომ შემდგომ სტუდენტს პრაქტიკული დანიშნულებით გამოადგეს, ან მასში მხოლოდ კვლევა შედის თუ ზემოთ აღნიშნული საკითხები კომბინირებულად არის წარმოდგენილი. ის ასევე დაინტერესდა, ხომ არ გაუჭირდება მაგისტრანტს ხელმძღვანელის გარეშე მოძებნოს წიგნები თემატურად და ხომ არ ჯობია,რომ გვერდები ყოფილიყო მითითებული.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარეძემ აღნიშნა რომ სამაგისტრო პროგრამას არ აქვს დაკონკრეტებული მიღების წინაპირობა, ის დაინტერესდა იღებენ თუ არა პროგრამაზე ნებისმიერ ბაკალავრს, ასევე არის თუ არა საკმარისი შიდა გამოცდა, რომელიც მიღების დროს ბარდება და ძირითადად რომელი დარგებიდან მოდიან მაგისტრანტები. მან ასევე აღნიშნა რომ სამაგისტრო პროგრამაში ვერ ნახა კვლევის მეთოდოლოგის კურსი, რადგან ზემოაღნიშნული სამაგისტრო ნაშრომისთვის აუცილებელია, ის დაინტერესდა ველის თეორია ფარავდა თუ არა ამ საკითხს. საბჭოს წევრმა ასევე დაამატა რომ ნანოტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სილაბუსებში არის საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაფარვები ლიტერატურაში, კერძოდ არის ოთხი -ხუთი სახელმძღვანელო, რომელიც მეორდება როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო საფეხურზე.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა რომ მინისტრის N3 ბრძანებაში სამაგისტრო ნაშრომების შეფასებასთან დაკავშირებით ცვლილება შევიდა 2016 წელს, დაწესებულების მხრიდან კი ეს ცვლილება მხოლოდ 2019 წლიდან აისახა, ის დაინტერესდა თუ ეს დოკუმენტის სახით არსებობს და ყველაფერი გასწორებულია რატომ არ იყო წარმოდგენილი და რატომ არ ჰქონდა აღნიშნულ დოკუმენტზე წვდომა ექსპერტსაც, რაც საბოლოო ჯამში ექსპერტთა ერთ-ერთი რეკომენდაციის საფუძველი გახდა.
საბჭოს წევრმა ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა რომ პროგრამის მასალებში მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტების მიერ დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიაში შეტანილია არა მხოლოდ უკვე დაცული სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომები, არამედ იმ სტუდენტების სიაც ხელმძღვანელების მითითებით, ვინც მომავალში აპირებენ დაცვას. მისი თქმით, სულ 2015 წლიდან გამოდის 17-მდე მაგისტრანტი, ნაწილს შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს სტატუსი. ის დაინტერესდა ცოტა ხომ არ იყო ამ სტუდენტების რაოდენობა და ზოგადად ამ კუთხით როგორი მოთხოვნაა ბაზარზე.
დაწესებულების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ისაუბრა ბიუჯეტის შესახებ ორივე პროგრამასთან მიმართებით, მისი თქმით დოქტარანტურის ბიუჯეტი ცხადია შესაძლოა იყოს მინუსებში იმ მიზეზის გამო, რომ დოქტორანტურა ისეთი მიმართულებაა, რომელიც ყველა უნივერსიტეტისათვის არის წამგებიანი.
მაგისტრანტების კვლევის დაფინანსებასთან დაკავშირებით გაჟღერებულ შეკითხვაზე რომელზედაც დაწესებულებამ განმარტა, რომ თანამშრომლობა მიმდინარეობს გერმანიის კვლევის ცენტრთან, აქედან გამომდინარე ხელშეკრულების ფარგლებში სტუდენტები, რომლებიც კვლევას ახორციელებენ კვლევის ცენტრში სრულად ფინანსდებიან გერმანული მხარის მიერ. მაგისტრანტებს სტაჟირების გარდა აქვთ საშუალება მოიპოვონ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იულიხის კვლევითი ცენტრის ეროვნული გრანტი, რომელიც სამაგისტროს შემთხვევაში 8 თვე გრძელდება, რაც კვლევის პროექტს მთლიანად ფარავს. დოქტორანტურის შემთხვევაში, 3 წელიწადს დამატებით 6 თვე. არცერთ პროგრამას კვლევაზე თანხები არ ეხარჯება. რაც შეეხება ნაშრომების ფორმაში მოყვანას, უნივერსიტეტს გააჩნია თავის სტანდარტული ფორმა და მაგისტრანტმაც ამ ფორმაში უნდა შეასრულოს თავისი კვლევითი ნაშრომი. ფორმაში მოყვანა, მისი თქმით ძირითადად ეხებოდა იმას რომ სამეცნიერო ნაშრომების ლიტერატურის ჩამონათვალში ზოგიერთი ჟურნალი ან წიგნი ითხოვს რომ პირველი იყოს ინიციალები, გვარი და დასახელება, ზოგიერთში პირიქით. ეს დაწესებულებაში იყო არეულ ფორმატში, შესაბამისად ექსპერტები რჩევა მდგომარეობდა იმაში, რომ გაწერილიყო ერთ ფორმაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ დასაქმების მაღალი მაჩვენებელი რეალურია, გამომდინარე იქედან რომ ერთადერთი პროგრამაა, რომელიც საქართველოში ხორციელდება და შესაბამისად მაგისტრანტების რაოდენობაც არ არის დიდი, პროგრამაზე შემოდიან როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის, ასევე თსუ -ს და თავისუფალი უნივერსიტეტების ბაკალავრები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დასაქმების არეალი საკმაოდ ფართოა, მაგისტრანტების შემთხვევაში ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელია. ასევე არიან სამხარაულის ეროვნულ ცენტრებში, ტექნიკურ ექსპერტიზის ცენტრებში. დოქტორანტურის შემთხვევაში კი მუშაობენ საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე. ერთ-ერთი სტუდენტი ამერიკის ერთ-ერთი კლინიკის განყოფილების ხელმძღვანელია. სამაგისტრო ნაშრომები ორიენტირებულია ძირითადად კვლევაზე. დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, ფაკულტეტის ხარისხმა განმარტა, რომ პროგრამას არ აქვს კონკრეტული სპეციალობები ან დარგები განსაზღვრული, რომლიდანაც იღებს მაგისტრანტებს, მისი თქმით შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ისეთი დონისაა, რომ თავად ცხრილავს მისაღებ კონტიგენტს. მაგისტრატურაზე დაშვების წინაპირობა შიდა გამოცდები, ხოლო დოქტორანტურაზე მედიცინის მიმართულებიდან და თუ დოქტორანტს ექნება ცნობა, რომ მისი ხარისხი უთანაბრდება მაგისტრის ხარისხს. მან აღნიშნა რომ მაგისტრანტებს მიღების დროს შეუძლიათ ჩააბარონ ოთხი უცხო ენიდან ერთ-ერთი, თუ გახდებიან მაგისტრატურის სტუდენტები, პროგრამაში დამატებით ჩადებულია ინგლისური

ენის თარგმანი, რომელიც იგივე ენებით არის, თუმცა ლიტერატურა ჩადებულია ძირითადად ინგლისურის. შესაძლოა სტუდენტი შემოვიდეს ფრანგული ენით, თუმცა იმისათვის რომ მან კვლევითი კომპონენტი კარგად შეასრულოს ინგლისური ენა მაინც აუცილებელია. მან რაღაც დონეზე მაინც უნდა მოიძიოს ინგლისური ლიტერატურა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ ნომერ მესამე ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტმა ცვლილება განახორციელა, ხოლო აკრედიტაციის განაცხადები განსახილველი პროგრამების თაობაზე ცენტრს მიეწოდა განხორციელებულ ცვლილებამდე 10 დღით ადრე. მისი თქმით, პროგრამებზე განახლებული დოკუმენტაციის წარდგენის პერიოდი დაემთხვა, თვითშეფასების ანგარიშის ფორმის ცვლილებას, რამაც ასევე გამოიწვია თვითშეფასების დანართთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის ცვლილებაც, შესაბამისად თუ წარმოადგენდნენ განახლებულ მასალებს, ეს თვითშეფასების დოკუმენტსაც შეეხებოდა და უნდა წარმოედგინათ ახალი ფორმით, საქმე ეხებოდა საკმაოდ ბევრ მასალას, რომელიც დაწესებულებაში გადაამუშავა და შეასწორა, უბრალოდ ოფიციალურად არ წარმოადგინეს, რადგან ვიზიტამდე 5 დღით ადრე ეს უხერხულობა ექსპერტების მიმართ აირიდეს თავიდან.
საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია დაინტერესდა ადგილობრივად რომელიმე კლინიკაში თუ არიან დასაქმებული კურსდამთავრებულები. დაწესებულებამ განმრტა, რომ კურსდამთავრებულები არიან სამედიცინო ფიზიკის სპეციალისტები, სამედიცინო ფიზიკა ეს არის იგივე კომპიუტერული ტომოგრაფიული, მაგნიტოდისონანსური ტომოგრაფიის აპარატურაზე მომუშავე ხალხი, რაც ყველა კლინიკაშია წარმოდგენილი: ავერსის, ევექსის, ნიუ ჰოსპიტალი, შესაბამისად ისინი არიან დასაქმებულები.
ინგლისური ენის ლიტერატურის სიმრავლე დაწესებულების განმარტებით განაპირობა, იმან რომ ინგლისური ენა არის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიწამყვანი ენა. ხარისხის უზრუნველყოფის პირდაპირი კონტროლით შემოწმებულია ის ფაქტი, რომ სწავლის შედეგებზე გასვლისთვის საჭირო ყველა ლიტერატურა აუცილებელი იყოს ხელმისაწვდომ ენაზე. რაც შეეხება ნანოტექნოლოგიების მიმართულებით გადაფარვას, შესაძლებელია ინსტიტუციის მხრიდან სახელმძღვანელო მეორდებოდეს, მაგრამ თემატიკის მიხედვით გადაფარვები არ ყოფილა. რაც შეეხება გვერდების მითითებას, იმ მიზეზით რომ მრავალრიცხოვანია ლიტერატურა, ინსტიტუციას პირველ და მეორე საფეხურთან მიმართებით რეკომენდაცია მართებულად არ მიაჩნია, რადგან მაგისტრატურა ეს ის საფეხურია სადაც, სტუდენტმა ძალიან მარტივად უნდა მიაგნოს საჭირო მიმართულებას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, მისი თქმით, ნებისმიერმა მკვლევარმა უნდა იცოდეს საერთაშორისო სტანდარტები, ის თუ რა მოითხოვება სტატიისა და სადისერტაციოს გაფორმებისას.
საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე დაეთანხმა ექსპერტს, ნაშრომის სამეცნიერო სტილთან დაკავშირებით, მისი თქმით სტუდენტები გადის აკადემიურ წერასა და კვლევის მეთოდებს სწორედ ყველა სტილის გაცნობის და შესწავლის მიზნით, შესაბამისად დოქტორანტი თუ მაგისტრანტი ყველა სტილს უნდა იცნობდეს, უბრალოდ ამას თავად დაწესებულება წყვეტს თუ რომელი სტილით იხელმძღვანელოს. მისი თქმით პრობლემას გადაწყვეტდა თუ თავად ინსტიტუცია წესდებაში მკაცრად განსაზღვრავდა სტუდენტების მიერ კონკრეტული სტილის გამოყენების აუცილებლობას. ის დაინტერესდა მსგავსი ჩანაწერი წესდებაში არსებობს თუ ამ მხრივ სტუდენტს თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს.
დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა რომ ეს წესი გაწერილია.
დაწესებულების განმარტებით ორივე პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ თუკი ცვლილება განათლების მინისტრის ბრძანებაში ნაშრომის ერთჯერადად შეფასებასთან დაკავშირებით შევიდა 2016 წელს და ეს ცვლილება დაწესებულებამ აკადემიური საბჭოს დადგენილებით 2020 წელს ასახა, როგორ ხორციელდებოდა ნაშრომების შეფასება 4 წლის განმავლობაში.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინსტიტუციას საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდა ბრძანებით მიერ განსაზღვრულ რეგულაციაზე გარკვეულ ნორმებთან მიმართებით, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ხარისხის ცენტრისა და განათლების სისტემის მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად უნივერსიტეტი დაექვემდებარა რეგულაციას და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციები გადააწყო და მოიყვანა კანონში შესულ ცვლილებასთან შესაბამისობაში.
საბჭოს წევრი დაინტერესდა როგორ ფასდებოდა ნაშრომები რეგულაციასთან შესაბამისობაში მოსვლამდე, კერძოდ ფასდებოდა თუ არა ძველი რედაქციის მიხედვით. დაწესებულების თქმით, პროგრამა როგორ შეფასებასაც ითვალისწინებდა იმ ფორმით ხორციელდებოდა შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ექსპერტებს წარმოადგინათ მოსაზრებები „საინჟინრო ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.
ექსპერტის განმარტებით პროგრამის ძირითადი მიმართულებაა კვლევების ჩატარება, მისი თქმით საგანი ''თემატური სემინარი'' არ იყო ასახული საგანმანათლებლო პროგრამის საგანთა ჩამონათვალში, გაიცა რეკომენდაცია ''თემატური სემინარი'' აისახოს პროგრამის საგანთა ჩამონათვალში. ასევე, მეტი მუშაობაა ჩასატარებული დოქტორანტთა მკვლევარებად ჩამოსაყალიბებლად. მან გააჟღერა რეკომენდაციები:
სადოქტორო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადი საბოლოო შეფასებით და დისერტაციის შეფასების კრიტერიუმების ჯამი გაუტოლდეს 100-ს;
სადოქტორო დისერტაციები გაფორმდეს მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვით.
დაწესებულებამ ,,თემატურ სემინართან'' დაკავშირებით განმარტა, რომ დოქტორანტურის დებულებაში გაწერილია რომ დოქტორანტურის პროგრამაში შესაძლოა იყოს თემატური სემინარიც, მაგრამ ასევე არის სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კურსები, კვლევის მეთოდები საინჟინრო ფიზიკაში, ასევე სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა, სადაც დოქტორანტები სწავლობენ ამ სტატიების გაფორმების წესს. ''თემატური სემინარი'' ინსტიტუციის განმარტებით აუცილებელი არ იყო.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დასვა შეკითხვა, რჩევაში 1.4 კომპონენტთან დაკავშირებით არსებულ ჩანაწერზე: ,,გადაიხედოს პროგრამის შედეგებისა და მიზნების რუკა, მან მოითხოვა განმარტება ამ თემასთან დაკავშირებით, რამდენად არის ზემოაშნიშნული რჩევა და რატომ არ აისახა ის რეკომენდაციებში.
ასევე რჩევის სახით აისახა, თუ როგორ ახდენს უსდ სტუდენტის დატვირთვის გამოთვლას, კრედიტებში გადაანგარიშებას და ა.შ საბჭოს წევრის დაინტერესდა ეს ეხებოდა სამეცნიერო კომპონენტის კრედიტებს, თუ რამ მისცა ექსპერტებს იმის საფუძველი რომ მსგავსი კითხვა გაეჟღერებინათ.
საბჭოს წერვმა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა რომ დასკვნაში საუბარია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმზე, ის ასევე დაინტერესდა რატომ არ არის სავალდებულო დაცვამდე ერთი სტატია მაინც იყოს საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებული.
ელენე ჟურავლიოვა დაინტერესდა კვლევით კომპონენტთან მიმართებით, რომელიც არის 130 კრედიტი და გაყოფილია ნაწილებად, ის დაინტერესდა თუ როგორ ხდება შეფასება, არსებობს თუ არა დამატებითი მოთხოვნები სანამ საჯაროდ განხორციელდება დაცვა.
ექსპერტის თქმით ყველა მიზანი გადის ყველა შედეგზე, შესაბამისად მათი მხრიდან გაიცა რჩევა გადაიხედოს ეს საკითხი.

თეონა მატარაძემ აღნიშნა რომ სადოქტორო პროგრამის ლიტერატურაში არის ძალიან ბევრი გადაფარვა, საბჭოს წევრის მოსაზრებით პროგრამაში ასევე ძალიან ბევრი სასწავლო კურსია, და დაინტერესდა რა იწვევს ამის საჭიროებას.

19:00 სთ-ზე საბჭოს სხდომა დატოვა ანზორ ბერიძემ.

დაწესებულების განმარტებით, სადოქტორონაშრომის შეფასება დაცვის დროს ერთჯერადად ხდება, კვლევა კი გრძელდება ორ წელიწად ნახევარი, აუცლებელია შუალედური კონტროლი, სწორედ თემატური სემინარი განსაზღვრავს თუ რა დონემდე მივიდა დოქტორანტი. საგანთა ნუსხაში ამის ჩასმა შეუძლებად მიიჩნია ინტიტუციას. რაც შეეხება დოქტორანტთან დამოუკიდებელ მუშაობას, თემის არჩევა დოქტორანტის მონაწილეობით ხორციელდება. ლიტერატურის გადაფარვასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ ადრინდელ მოდიფიცირებამდე ამ პროგრამაში იყო ორი საგანი, გამოყენებითი ფიზიკის სპეციალური თავები პირველი და მეორე, საგნის დიფერენცირების შემდგომ კი ის დაიშალა. არის 14 არჩევითი საგანი, თუმცა ეს ბევრი არ არის, რადგან არის 6 კონცენტრაცია. 2-3 არჩევითი საგანი მოდის თითოეულ მიმართულებაზე. ნანოტექნოლოგიებში არის 3-4 საგანი, რომელიც მას ფარავს, მაგრამ ზოგი არის პრაქტიკული და სემინარული კურსი, ისევე როგორც ლაბორატორიული. გაფორმების წესზე ინსტიტუცია დაეთანხმა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ეს მეორეხარისხოვანი ნამდვილად არ არის. უნივერსიტეტში არსებობს სტანდარტი, რომელიც არის შესაბამისობაში თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებთან.

რაც შეეხება სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის ნაწილს,180 კრედიტი არ არსებობს ინსტიტუციაში, მათი თქმით მაქსიმუმ კვლევითი კომპონენტი არის 60 კრედიტით წარმოდგენილი. პროგრამის ხანგრძლივობა კი არანაკლებ 3 წელია. დაცვაზე დაშვების წინაპირობებს რაც შეეხება, არსებობს წინაპირობები, რომლითაც დოქტორანტი უნდა მივიდეს საბოლოო დაცვამდე. ყველა კვლევითი კომპონენტის გავლა არის წინაპირობა.

დასკვნაში არის ჩანაწერი ''შეფასების ქულების განმარტებები არის ურთიერთ გადაფარვადი", ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა რომ აღმოფხვრილია ტექნიკური ხარვეზი. დისერტაციის დაცვის წინ აუცილებელია დისერტაციის წინასწარი დაცვა, რომელიც უფლებას აძლევს ნაშრომის ავტორს დაცვაზე გასასვლელად, ასევე აუცილებელი პირობაა პლაგიატზე შემოწმება, მას უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 სტატია რეფერირებად ჟურნალში და 1 კონფერენცია.

სხდომა ზეგამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:20
დასრულების დრო: 20:05

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
,,საინჟინრო ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენებთან მიმართებაში მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურების ენებთან;

გაძლიერდეს სასწავლო პროგრამა თეორიული და პრაქტიკული საკითხებით ვაკუუმური ტექნიკის შესახებ;
სამაგისტრო ნაშრომის შეფასება სრულად მოვიდეს შესაბამისობაში უნივერსიტეტში მოქმედ კვლევითი კომპონენტის შეფასების მარეგულირებელ დოკუმენტთან.

რჩევები:
მეტი თანამშრომლობა და ჩართულობა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
დამსაქმებელთა რჩევით მაგისტრანტებმა სწავლის პირველივე სემესტრიდან უნდა გაიარონ პრაქტიკა რომელიმე ს/კ დაწესებულებაში;
გადაიხედოს არჩევითად მესამე სემესტრში „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა"-ს სწავლების მიზანშეწონილობა და მისი ჩანაცვლება თუნდაც დარგობრივი/ტექნიკური ინგლისურის გაძლიერებული კურსით;
მაგისტრატურის დებულებაში დაზუსტდეს „თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი"-ის შესახებ ინფორმაცია თუ რა თემაზე შეიძლება შესრულდეს სამუშაო და შეიძლება თუ არა იგი უკავშირდებოდეს სამაგისტრო ნაშრომის თემას;
კვლევითი კომპონენტის შეფასების ქულების განმარტებები არ უნდა იყოს ურთიერთგადამფარავი;
განთავსდეს ვებ-გვერდზე 2020-2021 სასწავლო წლის კონსულტაციების გრაფიკი დეპარტამენტების მიხედვით;
გაძლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევით ინსიტუტებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი;
სამაგისტრო ნაშრომები გაფორმდეს მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვით;
მეტი მუშაობა ჩატარდეს სასწავლო გრანტების (Erasmus) მოსაპოვებლად;
სტუდენტებში ამაღლდეს ცნობადობა სამეცნიერო ბაზების შესახებ, დაიხვეწოს მათი გამოყენების მექანიზმი;
პროგრამის გაუმჯობესებისათვის გამოკითხვაში უმჯობესია ჩართული იყოს ყველა სტუდენტი და პროგრამის პერსონალი.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

,,საინჟინრო ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა რამდენიმე რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში და რიგ რეკომენდაციებს შეუცვალა ფორმულირება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმასა და კურიკულუმში დაკორექტირდეს კვლევითი კომპონენტის წარმოდგენის ფორმა და აისახოს სემესტრულად ECTS კონკრეტული რაოდენობის მინიჭების გარეშე, უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად;

სადოქტორო ნაშრომის შეფასება სრულად მოვიდეს შესაბამისობაში უნივერსიტეტში მოქმედ კვლევითი კომპონენტის შეფასების მარეგულირებელ დოკუმენტთან.

რჩევები:
საგანი „თემატური სემინარი “მიზანშეწონილია აისახოს საგანმანათლებლო პროგრამის საგანთა ჩამონათვალში;
მეტი მუშაობაა ჩასატარებელი დოქტორანტთა დამოუკიდებელ მკვლევარებად ჩამოსაყალიბებლად, კერძოდ: მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება, პატენტების მოპოვება, ინოვაციურ კონკურსებში მონაწილეობის მიღება და ინოვაციების დანერგვის აქტივობებში მონაწილეობა;
გადაიხედოს პროგრამის შედეგებისა და მიზნების რუკა;
საჭიროა დაკონკრეტდეს თუ რას გულისხმობს გასაუბრება ინგლისურ ენაში, როგორ მოწმდება გასაუბრებისას სამეცნიერო ტექსტის აღქმისადა ანალიზის კომპეტენციები ან გასაუბრება შეიცვალოს გამოცდით (ტესტირებით) ინგლისურ ენაში;
პროგრამის შინაარსისა და შედეგების დასაქმების მოთხოვნებთან მეტი შესაბამისობის მისაღწევად საჭიროა კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა მეტი ჩართულობა კურიკულუმის ჩამოყალიბებისას;
გასარკვევია, თუ როგორ ახდენს უსდ სტუდენტის დატვირთვის გამოთვლას, კრედიტებში გადაანგარიშებას და ა.შ.;
ამაღლდეს ცნობადობა ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმის მიმართ;
„პროფესორის ასისტენტობის“ შუალედური შეფასების კრიტერიუმების შეფასების ქულების განმარტებები არ უნდა იყოს ურთიერთგადამფარავი;
ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს 2020-2021 სასწავლო წლის კონსულტაციების გრაფიკი დეპარტამენტების მიხედვით;
სასურველია დამსაქმებლებთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი;
ამაღლდეს სამეცნიერო ბაზების ცნობადობა, დაიხვეწოს მათი გამოყენების მექანიზმი;
სადოქტორო დისერტაციები გაფორმდეს მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვით;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს სხდომა დასრულა 20:18 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ